ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულება

ლიზინგის გამცემი (**სს თიბისი ლიზინგი** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205016560; მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 76მ) გაუწევს ლიზინგის მიმღებს ავტო ლიზინგის დაფინანსების შესახებ მომსახურებას ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულებით (შემდგომში **ხელშეკრულება**) გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.

ლიზინგის მიმღები წერილობითი / ელექტრონული (მათ შორის ელექტორნული ხელმოწერისა და დისტანციური არხ(ებ)ის საშუალებით დაფიქსირებული) განაცხადით ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ხელშეკრულების ყველა პირობას (ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ხელშეკრულებას.
ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ლიზინგის გამცემის ვებ-გვერდზე www.tbcleasing.ge მოთხოვნის შემთხვევაში ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.

1. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებასა და **ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში** გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა, თუ კონტექსტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

ლიზინგის გამცემი	1.1. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც ▪ **ლიზინგის მიმღების თხოვნით და შერჩევით დებს მიმწოდებელთან ლიზინგის საგნის შესაძენად ნასყიდობის ხელშეკრულებას და სალიზინგო საზღაურ(ებ)ის გადახდის სანაცვლოდ ანიჭებს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლებას**
ლიზინგის მიმღები	1.2. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც: ▪ **განსაზღვრავს ლიზინგის საგანს და ირჩევს მიმწოდებელს;** ▪ **ლიზინგის გამცემისგან იღებს ლიზინგის საგანს და უფლებას გამოიყენოს ლიზინგის საგანი, რომელიც ლიზინგის გამცემმა მიმწოდებლისგან შეიძინა;** ▪ **კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაუხადოს ლიზინგის გამცემს სალიზინგო საზღაური და/ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით და ხელშეკრულებით გადასახდელი სხვა თანხა;**
პირი	ნებისმიერი კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი
ლიზინგის საგანი	ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ახალი ან მეორადი ავტო სატრანსპორტო საშუალებ(ები)ა, რომელიც გადაეცემა ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში
ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულება	წინამდებარე ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ლიზინგის საგნის გადაცემისა და ექსპლუატაციის ზოგადი პირობები და მისი დადება არ წარმოშობს ლიზინგის გამცემის და/ან ლიზინგის მიმღების ვალდებულებას შემდგომში და/ან ხელშეკრულებასთან ერთად დადონ ავტო ლიზინგის ხელშეკრულებები. მიუხედავად ამისა, ავტო ლიზინგის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მასზე სრულად გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები თუ ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით სხვაგვარად არ იქნება დადგენილი;
ავტო ლიზინგის ხელშეკრულება	მხარეთა შორის ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში და მისი შესრულების მიზნით დადებული ერთ-ერთი ქვეხელშეკრულება, რომლითაც დგინდება ცალკეული სალიზინგო ტრანზაქციის პირობები: • ორ დონიანი დოკუმენტი თუ ლიზინგის საგნის მიწოდება არ ემთხვევა ქვეხელშეკრულების გაფორმების თარიღს: **ავტო ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულებისა** და მისი დანართის **ავტო ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების** ერთობლიობა ქმნის ერთიან სამართლებრივ ინსტრუმენტს - **ავტო ლიზინგის ხელშეკრულებას;** • ერთ დონიანი დოკუმენტი თუ ლიზინგის საგნის მიწოდება ემთხვევა ქვეხელშეკრულების გაფორმების თარიღს: **ავტო ლიზინგის ხელშეკრულება**, რომელშიც გაერთიანებულია **ავტო ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულებისა და მისი დანართის ავტო ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების პირობები სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკთან ერთად**;
ავტო ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულება	ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ქვეხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული ლიზინგით დაფინანსების არსებით პირობათა ერთობლიობას, ლიზინგის საგანთან დაკავშირებული გასაწევი **კაპიტალიზირებადი დანახარჯების,** გაძირებული **ფინანსური და არაფინანსური ხარჯების,** ასევე სხვა **ფინანსური და არაფინანსური ხარჯების** დაგეგმილი ოდენობის ჩათვლით. პირობების ნაწილი ექვემდებარება კორექტირებას/დაზუსტებას **ლიზინგის შემადგენელ ხელშეკრულებაში** გაწეული ხარჯების ფაქტობრივი ოდენობის მიხედვით, რის საფუძველზე შედგება **სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკი** ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების სარგებლობაში გადაცემის მომენტში. ძირითადი ხელშეკრულება ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულებ(ებ)ის პარალელურად;

ავტო ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულება

ავტო ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულების დანართი, რომელიც ფორმირდება ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების სარგებლობაში გადაცემის მომენტში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროს და ადასტურებს ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების მიერ ჩაბარებას და მოიცავს:

- **გადაცემული ლიზინგის საგნის დეტალურ სპეციფიკაციას და რაოდენობას;**
- **ლიზინგის საგნის იდენტიფიკატორს (პროგრამულად მინიჭებული კოდი);**
- **ლიზინგის საგნთან დაკავშირებით გაწეული კაპიტალიზირებადი დანახარჯების, გაძირებული ფინანსური და არაფინანსური ხარჯების და სხვა ფინანსური და არაფინანსური ხარჯების ფაქტობრივ ოდენობებს;**
- **სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკს;**

* იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე ერთეულ საგანს და ლიზინგის საგნის მიწოდება ხდება ნაწილ-ნაწილ, ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულება გაფორმდება თითოეულ მიწოდებულ ნაწილზე/საგანზე განცალკევებით.

სალიზინგის საზღაურის გადახდის გრაფიკი

სალიზინგო საზღაურ(ებ)ის გადახდა წარმოებს **ლიზინგის შემადგენელ ხელშეკრულებაში** მოცემული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

სალიზინგო საზღაური

ლიზინგის საგნ(ებ)ის სარგებლობისთვის ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული ფულადი შენატანი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- **ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობა;**
- **ლიზინგის დაფინანსების თანხა;**
- **ფინანსური ხარჯები;**
- **არაფინანსური ხარჯები;**

ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობა

ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ძირითადი ხელშეკრულების დადებისთანავე ლიზინგის გამცემისთვის გადასახდელი თანხა (ლიზინგის ავანსი), რომელიც მიემართება ლიზინგის საგნის ღირებულების ნაწილის დასაფარად

* ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობა განისაზღვრება ნასყიდობის ხელშეკრულების ვალუტაში, ლიზინგის მიმღებმა თანამონაწილეობის გადახდისას ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად

ლიზინგის დაფინანსების თანხა

ლიზინგის გამცემის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც მოიცავს:

- ლიზინგის საგნის ღირებულებას ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობის გარეშე,
- კაპიტალიზირებად დანახარჯებს;

ლიზინგის საგნის ღირებულება

ნასყიდობის ან სხვაგვარად მიწოდების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიზინგის საგნის ღირებულება ან განმეორებითი ლიზინგის შემთხვევაში (რელიზინგი) ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიზინგის საგნის ღირებულება.

* ლიზინგის საგნის ღირებულებაში დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემი საგადასახდო კანონმდებლობის შესაბამისად ვერ ახდენს აღნიშნული გადასახადის ჩათვლას;

კაპიტალიზირებადი დანახარჯები

ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის გათვალისწინებაც ხდება ლიზინგის დაფინანსების თანხაში და რომელიც არ იარსებებდა ავტო ლიზინგის ხელშეკრულების არარსებობის პირობებში. კაპიტალიზირებადი დანახარჯების კომპონენტებია:

- **ლიზინგის საგნის შეძენასთან და ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები: ტრანსპორტირების ხარჯი, მონტაჟის ხარჯი, დაზღვევა გზაში, საბაჟო ხარჯი, ნოტარიუსის ხარჯი;**
- **ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური (მარეგისტრირებელი ორგანოს მოსაკრებელი, როგორიცაა შსს მომსახურების სააგენტო, საჯარო რეესტრი და სხვ.)**
- **სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები, რომელიც ლიზინგის დაფინანსების თანხის ნაწილია და რომელთა შესახებ ლიზინგის გამცემმა შეიტყო ავტო ლიზინგის ხელშეკრულების დადების და ლიზინგის საგნის მიმღებისთვის სარგებლობაში გადაცემის პერიოდში;**

* იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ან ყველა კომპონენტის ღირებულება ასახულია უცხოურ ვალუტაში, სალიზინგო საზღაურის გადახდის მიზნებისათვის თანხები დაანგარიშდება ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვალუტაში, ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად

ფინანსური ხარჯები

ლიზინგის გამცემის მიერ სავალდებულო წესით დაწესებული მომსახურებების სანაცვლოდ მოთხოვნილი გადასახდელები, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის მიმღების სავალდებულო ხარჯს და ლიზინგის გამცემის სარგებელს ან შემოსავალს და რომელიც არ იარსებებდა ავტო ლიზინგის ხელშეკრულების არარსებობის პირობებში. ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- **სალიზინგო ფინანსურ ხარჯებს და**
- **არასალიზინგო ფინანსურ ხარჯებს**

სალიზინგო ფინანსური ხარჯები	სალიზინგო ფინანსური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ფინანსურ ხარჯებს, რომლის გაწევის შედეგადაც ლიზინგის მიმღებს გადაეცემა გარკვეული მომსახურება ან საქონელი რომელიც დაკავშირებულია სალიზინგო აქტივით სარგებლობის უფლებასთან: ▪ **საპროცენტო სარგებელი;** ▪ **მიწოდების პერიოდზე დარიცხული სარგებელი;** ▪ **ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე დარიცხული სარგებელი;** ▪ **ლიზინგის გამცემის მიერ გაწეული მომსახურების საფასური და (საკონსულტაციო, საშუამავლო, ქონების ინსპექტირების, ქონების ღირებულების შეფასების და სხვა ტიპის მომსახურებების საფასური,) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოები (გაცემის, რესტრუქტურიზაციის, ვადამდე გამოსყიდვის საკომისიოები);** ▪ **ლიზინგის გამცემის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამა თუ იმ პირობის შეუსრულებლობისთვის დაწესებული/მოთხოვნილი ხარჯი, როცა ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში ჩადებული ამ პირობის შესრულება არ მოითხოვება ცალსახად ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის შემდეგ, არამედ შესაძლებელია ამ პირობის შესრულების მოთხოვნა/შემოწმება განხორციელდეს ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემამდეც;**
არასალიზინგო ფინანსური ხარჯები	არასალიზინგო ფინანსური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ფინანსურ ხარჯებს, რომლის გაწევის შედეგადაც ლიზინგის მიმღებს გადაეცემა გარკვეული მომსახურება ან საქონელი რომელიც არ არის დაკავშირებული სალიზინგო აქტივით სარგებლობის უფლებასთან: ▪ **ავტო ლიზინგის ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებების დადებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული ხარჯი** ▪ **პერიოდულობით გადასახდელი ხარჯები (ლიზინგის საგნის მონიტორინგისა და ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი, ჯიპიესის და ლიზინგის საგნის დისტანციურად გათიშვის მოწყობილობების ხარჯი და სხვა გადასახდელები)** ▪ **ლიზინგის გამცემის მხრიდან ლიზინგის რაიმე პირობით მიღებისთვის დაწესებული/მოთხოვნილი ხარჯები;** ▪ **სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ ლიზინგის გამცემმა შეიტყო ავტო ლიზინგის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.**

* იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ან ყველა კომპონენტის ღირებულება ასახულია უცხოურ ვალუტაში, სალიზინგო საზღაურის გადახდის მიზნებისათვის თანხები დაანგარიშდება ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვალუტაში, ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად

არაფინანსური ხარჯები	ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნით სარგებლობისას მესამე პირების პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებული არაკაპიტალიზირებადი დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის მიმღების ხარჯს, ხოლო ლიზინგის გამცემი ასრულებს გამტარის როლს და რომელიც არ იარსებებდა ავტო ლიზინგის ხელშეკრულების არარსებობის პირობებში: ▪ **ლიზინგით დაფინანსებასთან დაკავშირებული ხარჯები: ბანკის მომსახურების საკომისიო ხარჯი, გადარიცხვის საკომისიო, აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის ხარჯი, დერივატიული ინსტრუმენტის ხარჯი, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი, საშუამავლო მომსახურების, სავალუტო ან სხვა საბაზრო რისკების დასაზღვევად გაწეული ხარჯი; და სხვა);** ▪ **დაზღვევის ხარჯი;** ▪ **ქონების გადასახადი;** ▪ **დღგ**

* იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ან ყველა კომპონენტის ღირებულება ასახულია უცხოურ ვალუტაში, სალიზინგო საზღაურის გადახდის მიზნებისათვის თანხები დაანგარიშდება ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვალუტაში, ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად

ლიზინგის საპროცენტო სარგებელი	საპროცენტო სარგებელი რომელიც ერიცხება ლიზინგის ძირს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით დადგენილი ლიზინგის საპროცენტო განაკვეთით
ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი	ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი	ფიქსირებულია საპროცენტო განაკვეთი იმ შემთხვევაში თუ მისი ოდენობა წინასწარ არის ცნობილი
ცვლადი საპროცნტო განაკვთი	საპროცენტო განაკვეთის ზუსტი ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა შორის შეთანხმებულ ინდექსზე და იცვლება მისი ცვლილების პარალელურად.

ლიზინგის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება ლიზინგის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ, ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის წესის შესაბამისად
მიწოდების პერიოდზე დარიცხული სარგებელი	ფინანსური ხარჯის კომპონენტი, რომელიც ლიზინგის საპროცენტო განაკვეთით ერიცხება ლიზინგის გამცემის მიერ მიმწოდებლისათვის ლიზინგის დაფინანსების თანხის ფაქტობრივად გადახდილ/გაქვითულ ნაწილს, გადახდის/გაქვითვის მომენტიდან, ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემამდე პერიოდზე
ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე დარიცხული სარგებელი	ფინანსური ხარჯის კომპონენტი, რომელიც ლიზინგის საპროცენტო განაკვეთით ერიცხება ლიზინგის ნარჩენ ძირს, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან, ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ფაქტობრივად დაბრუნებამდე პერიოდზე
დაზღვევა	ლიზინგის საგნის ნებაყოფლობითი დაზღვევა ხელშეკრულებით დადგენილი წესით
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლითაც იბეგრება სალიზინგო საზღაური საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში
ქონების გადასახადი	ლიზინგით გაცემული ქონების გადასახადი, რომლის დაანგარიშება ხორციელდება შემდეგნაირად:
ლიზინგის ძირი	▪ **ლიზინგის საგნის საწყისი (ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისთვის არსებული) ღირებულების 0.6% გამრავლებული ლიზინგის ფაქტობრივად სარგებლობის წლების რაოდენობაზე** ▪ **ლიზინგის დაფინანსების თანხა** ▪ **გაძირებული ფინანსური და არაფინანსური ხარჯები, რომელიც განისაზღვრება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით**
ლიზინგის ნარჩენი ძირი	ლიზინგის მიმღების მხრიდან ლიზინგის გამცემის მიმართ განხორციელებული გადახდების შემდეგ ლიზინგის ძირის დარჩენილი ნაწილი მიმდინარე თარიღისათვის
ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა	ლიზინგის მიმღების მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის გარანტია. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხის განთავსება ხორციელდება ლიზინგის გამცემის ანგარიშზე, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობითა და პირობებით
ნასყიდობის ხელშეკრულება	ლიზინგის საგნის შესაძენად ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიმწოდებელთან გაფორმებული ლიზინგის საგნის ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდება სამმხრივად, ლიზინგის მიმღების მონაწილეობით
მიმწოდებელი	• ლიზინგის საგნის გამყიდველი, რომელთანაც ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება; • ლიზინგის გამცემი შეიძლება იმავდროულად იყოს ლიზინგის საგნის მიმწოდებელიც ლიზინგის საგნის ხელახალი ლიზინგით გადაცემის (რელიზინგი) შემთხვევაში; • ქონება ასევე შეიძლება შეძენილ იქნას ლიზინგის მიმღებისგან;
ლიზინგის საგნის ვადამდე გამოსყიდვა	სალიზინგო საზღაურების წინსწრებით დაფარვა; ვადამდე გამოსყიდვის თანხა დაანგარიშდება შემდეგნაირად: • **ლიზინგის ნარჩენ ძირი;** • **ვადამდე გამოსყიდვის საკომისიო,** • **წინა სალიზინგო საზღაურის გადახდის თარიღიდან გამოსყიდვის თარიღამდე დასარიცხი ფინანსური და არაფინანსური ხარჯები;** • **საშეღავათო პერიოდის ნამეტის ნარჩენი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);** • **ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ლიზინგის გამცემმა დამატებით გასწია ლიზინგის საგნის ვადამდე გამოსყიდვის გამო;** * დაუშვებელია ლიზინგის საგნის ნაწილის გამოსყიდვა ლიზინგის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე.
დეფოლტი	ლიზინგის მიმღების მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის/არაჯეროვანი შესრულების ფაქტ(ებ)ი, მათ შორის რაც მხარეებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა, კერძოდ ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: • მიმწოდებელი ცვლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთვის წინასწარ შეთანხმებულ პირობებს და შეცვლილი პირობები მიუღებელია ლიზინგის გამცემისთვის ან ლიზინგის მიმღებისთვის; • ლიზინგის მიმღები არღვევს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მათ შორის, დროულად არ აწვდის მიმწოდებელს ლიზინგის საგნის სპეციფიკაციას, არ თანამშრომლობს დამზადების, მიღება-ჩაბარების და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის ეტაპებზე); • ნებისმიერი მხარის მიერ წყდება ნასყიდობის ხელშეკრულება და/ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან მის საფუძველზე დადებული ნებისმიერი შეთანხმება; • ლიზინგის მიმღები უსაფუძვლოდ აცხადებს უარს ლიზინგის საგნის მიღებაზე, მიღება-ჩაბარების და/ან ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმებაზე; • ლიზინგის მიმღების უარს აცხადებს ლიზინგის საგანზე ჯიპიეს და დისტანციურად

გათიშვის მოწყობილობების მონტაჟზე;

- ლიზინგის მიმღები ვერ გადაიხდის ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობას და/ან სალიზინგო საზღაურს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;
- ლიზინგის მიმღები ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ხელშეკრულებით დადგენილ (სალიზინგო საზღაურის გადახდის გარდა) ნებისმიერ ვალდებულებას ან ლიზინგის მიმღებსა და ლიზინგის გამცემს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
- ლიზინგის გამცემის წინასწარი თანხმობის გარეშე ლიზინგის მიმღები დაიკისრებს რაიმე დამატებით ვალებს ან ვალდებულებებს;
- განადგურდა, დაზიანდა ან ღირებულება შეუმცირდა (ნორმალური ამორტიზაციის გარდა) ლიზინგის საგანს, რაც არ იფარება დაზღვევით;
- ლიზინგის მიმღების ან მისი თავდები პირების მიმართ იქნება ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა ან თუ ისინი თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შესახებ;
- ლიზინგის მიმღების კაპიტალი მნიშვნელოვნად შემცირდება;
- ლიზინგის მიმღების ან თავდების, მათი ქონების, მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიმართ ნებისმიერი სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომლებიც არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის ლიზინგის მიმღების მიერ საკუთარი ქონების განკარგვას, მისი მმართველობის ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილ პირთა საქმიანობას;
- ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს ლიზინგის მიმღებს ქონებას ან სხვა აქტივებს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს.
- ლიზინგის მიმღების ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებს ან რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი.
- ლიზინგის მიმღების მოქმედება მიმართულია ლიზინგის გამცემის მოტყუებისაკენ.

ქროს-დეფოლტი

ლიზინგის მიმღების მიერ ნებისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევები ლიზინგის გამცემის და\ან ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, ასევე ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებული მესამე პირების (მათ შორის აქციონერების (მონაწილეების) და არა მხოლოდ მათი, ხელმძღვანელი პირების) მიერ ნებისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევები.

პოტენციური დეფოლტი

ლიზინგის გამცემის წინაშე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების ნებისმიერი შემთხვევა, მოვლენა ან ქმედება, რაც იძლევა დეფოლტის ან ქროს-დეფოლტის ვარაუდის საფუძველს და ლიზინგის გამცემს აძლევს საფუძველს გამოაცხადოს დეფოლტი

ლიზინგის რესტრუქტურიზაცია

სალიზინგო საზღაურების გადახდის გრაფიკის ცვლილება, რომლის შედეგად იცვლება ლიზინგის ძირი, ფინანსური და არაფინანსური ხარჯები, ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვალუტა და ლიზინგის ვადა; მხარეები თანხმდებიან რომ წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილი წინაპირობები ალტერნატიულია, რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი წინაპირობის დადგომა საკმარისი საფუძველი იქნება რომ გრაფიკის ცვლილება ჩაითვალოს რესტრუქტურიზაციად

ლიზინგის რეფინანსირება

ლიზინგის ნარჩენი ძირის დაფარვა ახალი ავტო ლიზინგის ხელშეკრულების დადების გზით

ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანება:

ვადამდე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის თანხა, რომლის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- **ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში დაგროვილი გადაუხდელი ვადაგადაცილებული სალიზინგო საზღაურების ჯამი;**
- **ლიზინგის ნარჩენი ძირი**
- **დარიცხული ფინანსური და არაფინანსური ხარჯი;**
- **საშეღავათო პერიოდის ნამეტის ნარჩენი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**
- **ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ლიზინგის გამცემმა დამატებით გასწია ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო;**
- **პირგასამტეხლო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისთვის;**
- **პირგასამტეხლო ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების ვადაგადაცილებისთვის;**
- **ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება fair value და ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანებას შორის სხვაობა. იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანებაზე ნაკლებია, მათ შორის სხვაობა დაეკისრება ლიზინგის მიმღებს.**

ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება (fair value)

ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულება (fair value) განისაზღვრება ლიზინგის გამცემის შერჩევით ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი წესით:

- **ლიზინგის საგნის შეფასებითი ღირებულებით;**
- **ლიზინგის საგნის რეალიზაციის ფასით. რეალიზაცია ხორციელდება ლიზინგის გამცემის**

მიერ:
- პირდაპირი რეალიზაციის წესით ან/და
- აუქციონის წესით;

- **ლიზინგის საგნის ხელახალი ლიზინგით გადაცემის (რელიზინგი) ფასით დისკონტირებული ახალი ლიზინგის ვადის მიხედვით. ლიზინგის ახალი მიმღების შერჩევას და შეფასებას ახორციელებს ლიზინგის გამცემი, მის მიერ განსაზღვრული დაფინანსების პოლიტიკისა და პირობების დაცვით;**

ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მიერ მფლობელობაში დაბრუნების შემდეგ, ვიდრე ლიზინგის გამცემი განახორციელებს ხელშეკრულებით დადგენილი წესით ლიზინგის საგნის რეალიზაციას/რელიზინგს, ლიზინგის მიმღებს ერთჯერადად უნდა მიეცეს არანაკლებ 5 (ხუთი) საბანკო დღე ლიზინგის საგნის გამოსასყიდად ან შესყიდვის მსურველის შესარჩევად და ეცნობოს მისთვის მინიჭებული უფლების ფარგლებში ლიზინგის საგნის გამოსყიდვის ღირებულება. შესყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ პუნქტით დადგენილ ვადას.
აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ლიზინგის მიმღები კარგავს ლიზინგის საგნის პირდაპირი წესით გამოსყიდვის ოფციას, ამასთან ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის სარეალიზაციო არხად აუქციონის შერჩევის შემთხვევაში ლიზინგის მიმღებს ერთჯერადად (პირველი აუქციონამდე) გაეგზავნება შეტყობინება აუქციონის ჩატარების შესახებ. ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს ლიზინგის საგნის შესყიდვა განახორციელოს სტანდარტულად, აუქციონში მონაწილეობის გზით, აუქციონისთვის დადგენილი პირობებითა და წესებით.

ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულების დადგენის ვადები განსხვავდება და განისაზღვრება ლიზინგის საგნის სპეციფიკის, აქტიური რემარკეტინგის და შეფასების პროცესებისთვის საჭირო ვადებიდან გამომდინარე.

აუქციონზე ლიზინგის საგნის განთავსების პირობები

აუქციონის წესით ლიზინგის საგნის რეალიზაცია განხორციელდება საჯაროდ, ონლაინ აუქციონის პლატფორმის გამოყენებით. ლიზინგის საგნის რეალიზაციის მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს **სამი აუქციონი,** შემდეგი პირობებით:

- ყოველი აუქციონისთვის ლიზინგის საგნის განთავსების ვადა განისაზღვრება 5-დან 10 კალენდარულ დღემდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიზინგის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია განთავსების ვადა გაიზარდოს ლიზინგის გამცემის შეხედულებით;
- **პირველ აუქციონზე** ლიზინგის საგნის განთავსების ფასი განისაზღვრება ლიზინგის საგნის შეფასებითი ღირებულებთ, რომლის დადგენაც ხდება ლიზინგის გამცემის მიერ შერჩეული სპეციალისტის მიერ;
- **მეორე აუქციონზე** ლიზინგის საგნის განთავსების ფასი განისაზღვრება პირველ აუქციონზე ლიზინგის საგნის განთავსების ფასის დადისკონტირებული მოცულობით, განთავსების ფასის დისკონტირება განხორციელდება ლიზინგის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემის მიერ შერჩეული სპეციალისტის მიერ;
- **მესამე აუქციონზე** ლიზინგის საგნის განთავსების ფასი განისაზღვრება მეორე აუქციონზე ლიზინგის საგნის განთავსების ფასის დადისკონტირებული მოცულობით, განთავსების ფასის დისკონტირება განხორციელდება ლიზინგის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემის მიერ შერჩეული სპეციალისტის მიერ;
- ყოველ აუქციონზე გამარჯვებულად ცხადდება ყველაზე მაღალი ბიდის ავტორი;
- იმ შემთხვევაში, თუ სამივე აუქციონი უშედეგოდ დასრულდა და ვერ განხორციელდა ლიზინგის საგნის რეალიზაცია, ლიზინგის საგნის სამართლიან ღირებულებად (fair value) ჩაითვლება მესამე აუქციონზე ლიზინგის საგნის განთავსების ფასი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანების გაანგარიშებაში.
- აუქციონის მომსახურების ხარჯი (აუქციონზე ლიზინგის საგნის განთავსებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები) განსხვავებულია და მისი ოდენობა განისაზღვრება აუქციონის პლატფორმის მიხედვით. ხარჯების ზუსტი ოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემული იქნება საბოლოო დავალიანების გაანგარიშებაში.

ლიზინგის საგნის დასაკუთრებასთან/დავალიანების დაკისრებასთან დაკავშირებული ხარჯი

- **ლიზინგის საგნის დასაკუთრებისთვის გაწეული ხარჯი;**
- **ლიზინგის საგნის შენახვასთან და რემარკეტინგთან დაკავშირებული ხარჯი (ქონების გადასახადი, დაზღვევა, აუქციონი ა.შ);**
- **ლიზინგის საგანზე დარიცხული ნებისმიერი ხარჯი (ჯარიმა, პარკინგი);**
- **აღსრულების საფასური;**
- **კოლექტორის გადასახადი;**
- **სასამართლო ბაჟი;**

- **საარბიტრაჟო მოსაკრებელი;**
- **სამართლებრივი მომსახურების ხარჯი;**

სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილების ფორმა	სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ფორმით, დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერით ან სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გაგზავნას და ლიზინგის მიმღების ინფორმირებას ლიზინგის გამცემი უზრუნველყოფს SMS შეტყობინების საშუალებით, რომელშიც მითითებულია შესაბამისი ლინკი, რომელზე გადასვლის გზით ლიზინგის მიმღებისთვის შეცვლილი გრაფიკი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად, ამ ფორმით გრაფიკის ცვლილებისთვის ლიზინგის მიმღების ხელმოწერა არ არის სავალდებულო. ამასთან, შეცვლილი გრაფიკი ავტომატურად იგზავნება ლიზინგის მიმღების ელექტრონულ ფოსტაზეც;
ელექტრონული ხელმოწერა	**სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილების ფორმას ირჩევს ლიზინგის გამცემი საკუთარი შეხედულებით.** საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და სს თიბისი ლიზინგში მოქმედი სტანდარტებისა და წესის შესაბამისად და ლიზინგის გამცემის მიერ განსაზღვრული გარიგებების / ხელშეკრულებების / დოკუმენტების დადასტურების მიზნით, ლიზინგის მიმღების მიერ (ლიზინგის მიმღების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან მინდობილი პირის მიერ) ელექტრონული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის Signify-ის მეშვეობით) ხელმოწერის (მათ შორის კვალიფიციური ან განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა) შესრულება

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში ლიზინგის მიმღები და ლიზინგის გამცემი ერთჯერადად ან მრავალჯერადად, ეტაპობრივად ან პერიოდულად დადებენ **ლიზინგის ხელშეკრულებ(ებ)ას,** რის საფუძველზეც ლიზინგის გამცემი გადასცემს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგ(ნებს)ანს.

2.2. ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში ლიზინგის გამცემი **ნასყიდობის ხელშეკრულებ(ებ)ის** საფუძველზე იძენს მიმწოდებლისგან ქონებას მისი ლიზინგით გადაცემის მიზნით.

2.3. მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ლიზინგის მიმღებს გაუწიოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებები, როგორიცაა საკონსულტაციო მომსახურება, საშუმავლო/საბროკერო მომსახურება და სხვ.

2.4. ლიზინგის გამცემი უფლებამოისლია ლიზინგის ხელშეკრულების (გარდა მექანიკური სატრანსპორტო, მცურავი და საფრენი საშუალებების ლიზინგის ხელშეკრულების) საფუძველზე ლიზინგის უფლების რეგისტრაცია განახორციელოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში. ხოლო მექანიკური სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე ლიზინგის რეგისტრაცია განახორციელოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რის საფუძველზეც განხორციელდება ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებზე სარგებლობის უფლების რეგისტრაცია.

3. საპროცენტო სარგებელიდა მისი გადახდის წესი

3.1. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაუხადოს ლიზინგის გამცემს საპროცენტო სარგებელი **ავტო ლიზინგის ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის და პირობების შესაბამისად:

3.1.1. ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემის შემდგომ ლიზინგის ძირს ერიცხება ლიზინგის საპროცენტო სარგებელი ყოველთვიურად შემცირებად ძირზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ლიზინგის მიმღებთან შეთანხმების საფუძველზე ძირის შემცირება არ ხდება ყოველთვიურად) და იანგარიშება ლიზინგის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად, 360 დღეზე გაანგარიშებით.

3.2. ვადაგადაცილების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი ერიცხება ლიზინგის მიმღების ფაქტობრივ დავალიანებას ლიზინგის გამცემის მიმართ.

3.3. ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით შესაძლებელია დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

3.4. ლიზინგის ვადის განმავლობაში საშეღავათო პერიოდით სარგებლობის შემთხვევაში ლიზინგის ძირზე უწყვეტად ხორციელდება საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს საშეღვათო პერიოდის გასვლის შემდეგ სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად. საშეღავათო პერიოდის გამო გადახდის გრაფიკის დაკორექტირების უფლება აქვს ლიზინგის გამცემს ცალმხრივად. სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილებისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4. ხარჯები, საკომისიოები და სანქციები (პირგასამტეხლოები)

4.1. ლიზინგის მიმღები ვალდებულია აანაზღაუროს:

4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური და არაფინანსური ხარჯები;

4.1.2. ლიზინგის საგნის/საგნის ნაწილის მიღება-ჩაბარებისას წარმოშობილი ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის ნივთის ყიდვასთან;

4.1.3. ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული რეგისტრაციის ან სხვა ტიპის გადასახადების არსებობის შემთხვევაში, ასეთი ხარჯები აანაზღაუროს სრულად;

4.1.4. ლიზინგის მიმღები ვალდებულია აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგანზე გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.2. ლიზინგის საგანთან დაკავშირებული საგადასახადო და მასთან გათანაბრებული ისეთი გადასახადების ან სხვა სახელმწიფო ან ექვივალენტური მოსაკრებლების, ასევე სავალუტო ინდექსზე მიბმული ხარჯის ცვლილებების შემთხვევაში, რომელთა გადამხდელია ან რომლის დაფარვის ვალდებულება ეკისრება ლიზინგის გამცემს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ცალმხრივად და ლიზინგის მიმღების დამატებითი თანხმობის გარეშე გაზარდოს სალიზინგო საზღაური ფინანსური ტვირთის ცვლილების შესაბამისად. ლიზინგის გამცემი წერილობით ატყობინებს ლიზინგის მიმღებს განხორციელებული ცვლილებებისა და სალიზინგო საზღაურის შეცვლის აუცილებლობის შესახებ და ცალმხრივად ახორციელებს სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილებას ამ ხელშეკრულებით სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის ცვლილებისთვის დადგენილი წესით; ლიზინგის მიმღები ვალდებულია განახორციელოს გადახდები შეცვლილი თანხის შესაბამისად.

4.3. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიმართ საგზაო მოძრაობის სფეროში ან სხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (მათ შორის, დარეგისტრირებულს ვიდეოფიქსაციის მეშვეობით საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად) ჩადენის შესახებ დადგენილების ლიზინგის გამცემისთვის ჩაბარების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი თავად გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმებს, ყველა სხვა შემთხვევაში ლიზინგის მიმღებია პასუხიმგებელი ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიმართ საგზაო მოძრაობის სფეროში ან სხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაკისრებული ჯარიმის და ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე. ლიზინგის გამცემის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში ინფორმაცია გადახდილი ჯარიმების თაობაზე გაეგზავნება ლიზინგის მიმღებს SMS შეტყობინების საშუალებით, ხოლო ლიზინგის მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი ინვოისი გადახდილი ჯარიმების თანხაზე. ლიზინგის მიმღები ვალდებულია შეტყობინებაში ასახული თანხის გადახდა უზრუნველყოს შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიზინგის გამცემის მიერ გადახდილი ჯარიმის თანხა დაემატება ლიზინგის მიმღების მიმდინარე დავალიანებას და ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, რისთვისაც ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა, პირგასამტეხლო დაერიცხება ვადაგადაცილებულ დავალიანებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ოდენობით.

4.4. გაწეული/გასაწევი მომსახურების სანაცვლოდ ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემს გადაუხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო).

4.5. საკომისიოს ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები განისაზღვრება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით.

4.6. ხელშეკრულების ფარგლებში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მოსთხოვოს ლიზინგის მიმღებს შემდეგი სახის საკომისიოების გადახდა:

4.6.1. საკომისიო ლიზინგის გაცემისთვის, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში განსაზღვრული ოდენობით. საკომისიოს გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში. თუ ლიზინგის მიმღები ვერ განახორციელებს საკომისიოს თანხის დადგენილ ვადაში გადახდას, ლიზინგის გამცემი საკომისიოს თანხის დაკავებას განახორციელებს ლიზინგის ძირიდან;

4.6.2. საკომისიო ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვისთვის ან სალიზინგო საზღაურის ნაწილობრივი შემცირებისთვის, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში განსაზღვრული ოდენობით. საკომისიო დაერიცხება წინსწრებით დაფარულ ლიზინგის ნარჩენ ძირს,

4.6.3. საკომისიო ავტო ლიზინგის ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ცვლილებისთვის (რესტრუქტურიზაცია, პროლონგაცია, უფლების დათმობა და ა.შ.) განისაზღვრება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში დადგენილი ოდენობით. საკომისიოს გადახდა ხორციელდება ცვლილების გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში. თუ ლიზინგის მიმღები ვერ განახორციელებს საკომისიოს თანხის დადგენილ ვადაში გადახდას, ლიზინგის გამცემი საკომისიოს თანხას დაარიცხავს ლიზინგის ნარჩენ ძირს;

4.7. ხელშეკრულების და/ან ავტო ლიზინგის ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად, დროულად ან/და სრულფასოვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებული იქნება გადაუხადოს ლიზინგის გამცემს შემდეგი პირგასამტეხლოები:

4.7.1. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები დააგვიანებს, არ გადაიხდის სალიზინგო საზღაურს მთლიანად ან ნაწილობრივ სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში და ოდენობით. პირგასამტეხლო დაერიცხება ვადაგადაცილებულ დავალიანებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით.

4.7.2. პირგასამტეხლო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისთვის დაირიცხება დეფოლტის, პოტენციური დეფოლტის და/ან ქროს-დეფოლტის გამო ლიზინგის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. პირგასამტეხლო დაერიცხება ლიზინგის ნარჩენ ძირს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით.

4.7.3. პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წინამდებარე ხელშეკრულების 8.2.11 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევში.

4.7.4. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები არ დააბრუნებს ლიზინგის საგანს ლიზინგის გამცემის მფლობელობაში შეტყობინებაში მითთებულ ვადაში. ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ პირგასამტეხლო დაერიცხება ლიზინგის ნარჩენ ძირს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებამდე პერიოდზე;

4.8. ხელშეკრულების და/ან ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით ნებისმიერი საკომისიოს, ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), ასევე ლიზინგის მიმღებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის ნარჩენი ძირის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. ხელშეკრულების და/ან ლიზინგის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო ლიზინგის მიმღებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა, ასევე, სხვა ნებისმიერი, მათ შორის, ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებული ხარჯი, ყოველი ვადის გადაცილებიდან მის აღმოფხვრამდე პერიოდისათვის ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის ნარჩენი ძირის 1.5-მაგ ოდენობას.

4.9. პირგასამტეხლოს დაკისრება ლიზინგის გამცემის უფლებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არა აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს ლიზინგის მიმღებს პირგასამტეხლოს გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემს წარმოეშობა გარკვეული სახის საგადასახადო ან სხვაგვარი ფინანსური ვალდებულებები, რაც

უკავშირდება ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას მიუხედავად პირგასამტეხლოს არმოთხოვნას, ლიზინგის მიმღები ვალდებული იქნება აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ასეთი ხარჯი.

4.10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მეორე მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ლიზინგის მიმღებს ძირითადი ვალდებულების შესრულების ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

5. სალიზინგო საზღაური და ანგარიშსწორების პირობები

5.1. სალიზინგო საზღაურს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებისათვის ლიზინგის მიმღები იხდის სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით განსაზღვრული ოდენობითა და პერიოდულობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლიზინგის გამცემის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. გადახდის თარიღად ითვლება სალიზინგო საზღაურის ლიზინგის გამცემის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი.

5.2. სალიზინგო საზღაურები შესაძლოა იყოს თანაბარი ან განსხვავებული ერთმანეთისგან, ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე.

5.3. ლიზინგის ყოველთვიური საზღაურის გადახდის თარიღს ირჩევს ლიზინგის მიმღები და ყოველი მომდევნო საზღაურის თარიღი განისაზღვრება თვის ერთსა და იმავე რიცხვში, გარდა იმ შემთხვევებისა როცა აღნიშნული რიცხვი ემთხვევა უქმე დღეებს ან სახელმწიფო დღესასწაულებს. ამ შემთხვევაში გადახდის თარიღად განისაზღვრება მომდევნო სამუშაო დღე.

5.4. სალიზინგო საზღაური განისაზღვრება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ, როგორც ეროვნულ, ასევე სხვა ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში.

5.5. უცხოურ ვალუტაში დადებული ლიზინგის ხელშეკრულების შემთხვევაში, ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისათვის სალიზინგო საზღაურის გრაფიკით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ლარებში სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ხოლო სალიზინგო საზღაურის გრაფიკით დადგენილ ვადაზე დაგვიანებით გადახდისას, ასევე ხელშეკრულებით ან ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საზღაურის დაფარვის შემთხვევაში ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ლარებში, ფაქტობრივი გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშსწორების განხორციელების წესი შესაძლოა შეიცვალოს ცალმხრივად ლიზინგის გამცემის შეტყობინების საფუძველზე.

5.6. ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის დასაფარავად გადაცემული თანიხიდან, პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებაზე დარიცხული პირგასამტეხლო, შემდეგ საკომისიოებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებული დავალიანება, შემდეგ საპროცენტო განაკვეთი და ბოლოს ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი ძირი. ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემს უფლებას ანიჭებს:

5.6.1. ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების ამ პუნქტში მოცემული წესი;

5.6.2. თავად განსაზღვროს ლიზინგის მიმღების ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს თუ რა ოდენობით (მოცულობით) და რომელ ავტო ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს ლიზინგის მიმღების მიერ მისთვის გადაცემული ან/და ლიზინგის მიმღების ანგარიშებიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ით, რაც ნიშნავს იმას, რომ ლიზინგის მიმღები გამცემს ანიჭებს ლიზინგის მიმღების სახელით ლიზინგის მიმღების ვალდებულებათა შესრულების რიგითობის (პრიორიტეტულობის) განსაზღვრის უფლებამოსილებას.

5.7. ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობის გადახდა ხორციელდება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით და ვადაში. ლიზინგის გამცემს არ წარმოეშობა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულება, სანამ ლიზინგის მიმღები სრულად და ჯეროვნად არ დაფარავს ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობას ან/და არ შეასრულებს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დამატებითი უზრუნველყოფის საშუალების წარმოდგენის თაობაზე ან ნებისმიერ სხვა ვალდებულებას, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის წინაპირობად შესაძლოა განისაზღვროს.

5.8. ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობაზე ლიზინგის გამცემის მიერ ანგარიშფაქტურის გამოწერა ხორციელდება მიღება-ჩაბარების გაფორმების საანგარიშო თვის მიხედვით, არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო თვის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.9. ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის სალიზინგო საზღაურზე ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა მოხდება სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით განსაზღვრულ გადახდის თარიღებში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ლიზინგის მიმღების მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა. ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა მოითხოვოს, მხოლოდ სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული პირველ გადახდის დადგომის და ლიზინგის საგნის მიწოდების შემდეგ.

5.10. ლიზინგის საგნის მიწოდებამდე ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებისთვის თანამონაწილეობის დაბრუნება ხორციელდება ლიზინგის საგნის შესაძენად გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლისთვის ავანსად გადახდილი თანხის ლიზინგის გამცემისთვის დაბრუნების შემდეგ. ლიზინგის მიმღებისთვის თანამონაწილეობის თანხის დაბრუნება ხორციელდება თანამონაწილეობის თანხის ვალუტაში. ამასთან, ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია აღნიშნული ვადის დაუცველად მიმართოს ლიზინგის გამცემს უფლების დათმობის მოთხოვნით, რომელიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყიდველის უფლებებს, ხოლო ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუთმოს ლიზინგის მიმღების მისი უფლებები თუ დაცულია ხელშეკრულების 5.11. პუნქტის მოთხოვნები.

5.11. გარდა ზემოაღნიშნულისა, იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღების სურვილია ისარგებლოს ამ ხელშეკრულების 5.10. პუნქტით გათვალისწინებული უფლებით ან თუ ლიზინგის გამცემი ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას, ნასყიდობის ხელშეკრულებას და/ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულებას, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) ლიზინგის მიმღებს მოსთხოვოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების გადაკისრებაც და სრულად გავიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ შესაბამისი რეგულაციები ასახული იქნება ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები უარს ამბობს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაკისრებაზე შესაბამის ნასყიდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესით და/ან არ თანამშრომლობს ლიზინგის გამცემთან იმგვარად, რომ სათანადოდ შეიყვანოს ძალაში აღნიშნული ვალდებულებების გადაკისრება (იქნება ეს შესაბამისი შეთანხმების თუ სხვა დოკუმენტის გაფორმება),

ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია არ დაუბრუნოს ლიზინგის მიმღებს და დააკავოს როგორც ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობა, ისე ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა ან/და ლიზინგის გამცემის ვალდებულების შესრულების ნებისმიერი უზრუნველყოფა სანამ არ მოხდება წერილობითი შეთანხმება ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ურთიერთობის დარეგულირების თაობაზე. ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული ლიზინგის გამცემის უფლების ასამოქმედებლად ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ცალმხრივად, წერილობითი მიმართვის საფუძველზე გადააკისროს ლიზინგის მიმღებს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები და რეგრესის წესით მოითხოვოს ლიზინგის მიმღებისგან ნასყიდობის და ავტო ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტიით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ამასთანავე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის და ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემის თაობაზე უნდა შეატყობინოს მიმწოდებელს.

6. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა

6.1. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა ლიზინგის მიმღებმა უნდა ჩარიცხოს ლიზინგის გამცემის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით შესაბამისი ექვივალენტით ლარებში, თანხის გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

6.2. ვალდებულების უზრუნველყოფის თანხას ერიცხება სარგებელი, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით ვალდებულების უზრუნველყოფის თანხისთვის გათვალისწინებული განაკვეთით, საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ლიზინგის გამცემთან განთავსების ფაქტიურ დღეებზე გადაანგარიშებით. სარგებლის დარიცხვა ხორციელდება განთავსების პერიოდის ბოლოს და ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ თარიღში უბრუნდება ლიზინგის მიმღებს ან ჩაითვლება ლიზინგის მიმღების სხვა ვალდებულებების ანგარიშში, მათ შორის ხელშეკრულების პირობების დარღვევის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს, საურავის, მიყენებული ზიანის ან ვადაგადაცილებული დავალიანების თანხაში . ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ლიზინგის გამცემი არ დაარიცხავს საპროცენტო სარგებელს ვალდებულების უზრუნველყოფის თანხას იმ შემთხვევაში თუ შეწყდება ავტო ლიზინგის ხელშეკრულება, ხოლო ლიზინგის გამცემი კეთილსინდისიერად აკავებს და არ აბრუნებს უზრუნველყოფის თანხას ლიზინგის მიმღებთან წარმოშობილი დავის გამო. აღნიშნული წესი იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ მომავალში მხარეები დავას მორიგებით დაასრულებენ ან თუ დავა გადაწყდება ლიზინგის მიმღების სასარგებლოდ.

7. ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემა

7.1. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (შემდგომში **მიღება-ჩაბარების აქტი**) და ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმებით, რომლებსაც ხელს უნდა აწერდნენ ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით ლიზინგის მიმღები ადასტურებს, რომ მას გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი, ნივთის უნაკლობა გულისხმობს საგნის მდგომარეობას, რომელიც შესაბამისობაშია ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში მოცემულ აღწერილობასთან, მახასიათებლებთან და სპეციფიკაციასთან.

7.2. იმის გათვალისწინებით, რომ ლიზინგის გამცემი არ წარმოადგენს ლიზინგის საგნის მწარმოებელს და/ან მიმწოდებელს და ლიზინგის მიმღებმა უშუალოდ თვითონ შეარჩია სასურველი მიმწოდებელი და განსაზღვრა ლიზინგის საგანი, ლიზინგის გამცემი არ აგებს პასუხს ლიზინგის საგნის მიწოდების ვადაზე, მის შესაბამისობაზე, ხარისხზე, დიზაინზე, წარმადობაზე, გაყიდვაუნარიანობასა და სხვა მახასიათებლებზე. ლიზინგის მიმღებია პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ქონების შესაბამისობით იმ აღწერილობასთან, რომელიც მან მიაწოდა მიმწოდებელს ან ლიზინგის გამცემს.

7.3. ლიზინგის საგანთან ან მისი მიწოდების ვადებთან დაკავშირებით პრეტენზიის შემთხვევაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია მიმართოს მიმწოდებელს. მას მიმწოდებელთან ენიჭება ისეთივე სოლიდარული უფლება პრეტენზიის წაყენებისა, როგორიც ლიზინგის გამცემს, თუმცა მიმწოდებელი არ აგებს პასუხს ერთდროულად ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების მიმართ ერთსა და იმავე ზიანზე. ამასთან, პრეტენზიის წაყენება და დაკმაყოფილება სავალდებულოა წერილობით შეთანხმდეს ლიზინგის გამცემთან.

7.4. ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება შეთანხმდეს მიმწოდებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შეცვლაზე, შეწყვეტასა ან მოშლაზე ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე.

7.5. ლიზინგის გამცემს არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, რაც ეხება ლიზინგის საგნის მიწოდებას, დამონტაჟებას, ტესტირებას, მისადაგებას ან ლიზინგის საგნის მიწოდება-დამონტაჟებასთან ან ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მომსახურებას. ლიზინგის მიმღები ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები ლიზინგის საგნის მიღებისა და დამონტაჟებისათვის და შეარჩიოს კვალიფიციური კადრები ლიზინგის საგნის სათანადო ექსპლუატაციისათვის. ლიზინგის მიმღებს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მყიდველის ვალდებულებები ლიზინგის საგნის მიღების, შენახვის, მონტაჟის, ექსპლუატაციაში შეყვანის, მოხმარებისა და რემონტის წესებთან დაკავშირებით (გარდა ღირებულების ან მისი ნაწილის გადახდის ვალდებულებისა) ისე, თითქოს ის იყოს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთადერთი მონაწილე და უშუალოდ მყიდველი მხარე. ლიზინგის გამცემს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებაზე. ამასთან, მხოლოდ ლიზინგის მიმღებია ნასყიდობის საგნის შემთხვევითი დაზიანების ან დაღუპვის რისკის მატარებელი და ლიზინგის გამცემს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა აღნიშნულთან მიმართებით.

7.6. ლიზინგის მიმღებს არ შეუძლია უსაფუძვლოდ უარი თქვას ლიზინგის საგნის მიღებაზე და ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის საგანი შეესაბამება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებაში მოცემულ აღწერილობას და სპეციფიკაციას.

7.7. მიღება-ჩაბარების აქტის და ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე/ლიზინგის საგნის მიღების შემდეგ ლიზინგის მიმღები იძენს ლიზინგის საგნით სარგებლობისა და ფლობის უფლებას, აგრეთვე ეკისრება ლიზინგის საგნის დაზიანების და/ან შემთხვევით დაღუპვის რისკი მთლიანად. იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის მიმღები დაუყოვნებლივ წერილობით უარს არ განაცხადებს ლიზინგის საგნის მიღებაზე, მაგრამ აყოვნებს მიწოდებული ლიზინგის საგნის მიღებას, მას შემდეგ, რაც ლიზინგის საგნის შემოწმების გონივრული

შესაძლებლობა ჰქონდა ან როცა ლიზინგის მიმღები იწყებს ქონებით სარგებლობას, მაშინ ლიზინგის საგანი მიწოდებულად ჩაითვლება და ლიზინგის მიმღებს დაეკისრება ლიზინგის საგნის დაზიანების და/ან შემთხვევით დაღუპვის რისკი მთლიანად.

7.8. თუ ლიზინგის საგანი არ მიეწოდა ლიზინგის მიმღებს, მიეწოდა ვადაგადაცილებით ან ის არ შეესაბამება ლიზინგის პირობებს და ლიზინგის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს არ მიიღოს ქონება და მიმწოდებლისაგან მოითხოვოს იმგვარი ქონება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ავტო ლიზინგის ხელშეკრულების პირობებთან ან/და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ლიზინგის საგნის ნაკლოვანება ვერ იქონიებს გავლენას ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.9. ლიზინგის საგნის მიწოდება ხორციელდება ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და მისი გადაადგილება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაუშვებელია ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ლიზინგის მიმღების უფლებები და ვალდებულებები ლიზინგის საგნის ექსპლუატაციისას

8.1. ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლება აქვს უშუალოდ ლიზინგის მიმღებს და/ან მის თანამშრომლებს, დაქირავებულებს შრომითი ურთიერთობების ფარგლებში.

8.2. ლიზინგის მიმღები ლიზინგის საგნის ექსპლუატაციისას ვალდებულია:

8.2.1. ზედამხედველობა გაუწიოს ლიზინგის საგნის ტექნიკურ მდგომარეობას, უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა და მიიღოს გონივრული ზომები ლიზინგის საგნის დაზიანების ან ზარალის მიყენების (მათ შორის, ლიზინგის საგნის გატაცების ან მოპარვის) რისკის შესამცირებლად;

8.2.2. უზრუნველყოს ლიზინგის საგნის მიყვანა ტექნიკური მომსახურებისთვის მწარმოებლის მიერ რეკომენდებული პერიოდულობით და აგრეთვე აკონტროლოს ზეთის, საექსპლუატაციო სითხეების, საბურავების წნევის დონეები მწარმოებლის რეკომენდაციების თანახმად. ლიზინგის მიმღების მიზეზით ტექნიკური მომსახურების დროულად განუხორციელებლობის შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა საგარანტიო მომსახურებაზე/შეკეთებაზე უარის მიღებასთან დაკავშირებით ეკისრება ლიზინგის მიმღებს, რომელიც ვალდებული იქნება აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს მიღებული უარით გამოწვეული ზარალი;

8.2.3. დაუყოვნებლივ აცნობოს ლიზინგის გამცემს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ლიზინგის საგანთან. კერძოდ, ლიზინგის საგნის გაუმართაობასთან, ლიზინგის საგნის მონაწილეობით მომხდარ ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან, ლიზინგის საგნის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ან მისი ჩადენის მცდელობასთან (მათ შორის, მისი გატაცება, მოპარვა, სხვისი ქონების დაზიანება და ა.შ.) და აგრეთვე ნებისმიერი სხვა გარემოების შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ლიზინგის საგნისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას;

8.2.4. უზრუნველყოს ლიზინგის საგნის მართვა მხოლოდ იმ მძღოლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კატეგორიის მძღოლის მოწმობა და ჩამორთმეული არა აქვთ ლიზინგის საგნის მართვის უფლება (მძღოლის მოწმობის არარსებობის ან მისი გაუქმების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა მესამე პირებისთვის ზიანის მიყენებაზე ან ლიზინგის საგნის დაზიანებაზე ეკისრება ლიზინგის მიმღებს).

8.2.5. უზრუნველყოს გატაცების საწინააღმდეგო საშუალებების ან/და თანამგზავრული მონიტორინგის სისტემის მუდმივი გამოყენება, ლიზინგის საგნზე მათი დამონტაჟების შემთხვევაში. თუ აღნიშნული საშუალებების გამოუყენებლობის შედეგად ლიზინგის გამცემს ან/და მესამე პირებს მიადგათ ზიანი, ლიზინგის მიმღები ვალდებულია სრული ოდენობით აუნაზღაუროს დაზარალებულ მხარეს მიყენებული ზიანი;

8.2.6. დაუყოვნებლივ აცნობოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის სარეგისტრაციო მოწმობის დაკარგვის (მოპარვის და ა.შ.) შესახებ და ლიზინგის გამცემის მოთხოვნის შესაბამისად მიიყვანოს ლიზინგის საგანი მითითებულ ადგილზე და დათქმულ დროს ახალი სარეგისტრაციო მოწმობის ასაღებად. ლიზინგის მიმღები ვალდებულია აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ახალი სარეგისტრაციო მოწმობის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

8.2.7. დაუყოვნებლივ აცნობოს ლიზინგის გამცემს სახელმწიფო სარეგისტრაციო ნიშნების დაკარგვის, მოპარვის ან გაფუჭების შესახებ და აუნაზღაუროს ახალი სახელმწიფო სარეგისტრაციო ნიშნების აღებასთან დაკავშირებულ ხარჯები.

8.2.8. განახორციელოს ლიზინგის საგნის მხოლოდ მიმდინარე რემონტი, ხოლო კაპიტალური სამუშაოები (რემონტი) განახორციელოს მხოლოდ ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

8.2.9. ლიზინგის საგნის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღადგინოს ლიზინგის საგანი და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო მოწყობილობა და ნაწილები.

8.2.10. ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეცვალოს და არ დააზიანოს მარკირების ფორმა. მარკირების შემთხვევით განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში 1 (ერთი) დღის ვადაში შეატყობინოს ლიზინგის გამცემს და მიუთითოს მარკირების დაზიანების გამომწვევი მიზეზები. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემს აღმოუჩინოს დახმარება 1 (ერთი) დღის ვადაში განმეორებითი მარკირების განხორციელებისათვის.

8.2.11. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისას ლიზინგის საგანი დაუბრუნოს ლიზინგის გამცემს სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

8.2.12. სრულად აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ზიანი, თუ ნივთი დაზიანდა ან განადგურდა და ვერ იქნა ანაზღაურება მიღებული სადაზღვევო კომპანიისგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ძალაში რჩება სადაზღვევო ანაზღაურების მიუღებლობის ნებისმიერი მიზეზის შემთხვევაში.

8.2.13. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დათვალიერების ან მსგავსი პროცედურის გავლა (ერთჯერადად ან რეგულარულად) გახდება სავალდებულო საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დროულად და საკუთარი ხარჯით გაიაროს შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი პროცედურა (თუ ლიზინგის საგანი წარმოადგენს რეგისტრაციას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებას). ლიზინგის გამცემი მიაწოდებს ლიზინგის მიმღებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და მიანიჭებს უფლებამოსილებას, რაც საჭირო იქნება ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. თუ ლიზინგის მიმღები დაარღვევს ზემოაღნიშნულ ვალდებულებას, პასუხისმგებლობა დამდგარ ზიანზე დაეკისრება ლიზინგის მიმღებს.

8.2.14. სხვა სალიზინგო კომპანიიდან ლიზინგის რეფინანსირების შემთხვევაში, ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის სახელზე რეგისტრაციის მომენტამდე ლიზინგის მიმღები ვალდებულია განახორციელოს ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის პირდაპირ მფლობელობაში დაუყოვნებლივ გადაცემა, რაც გულისხმობს ლიზინგის საგნის განთავსებას ლიზინგის გამცემის ავტოსადგომზე, სარგებლობის უფლების გარეშე, რის შესახებაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

8.3. ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება:

8.3.1. გამოიყენოს ლიზინგის საგანი იმ ტვირთების გადასაზიდად, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის გარეგნულ სახეს ან/და მის ტექნიკურ მდგომარეობას;

8.3.2. გამოიყენოს ლიზინგის საგანი სპორტულ შეჯიბრებებში (რალი და ა.შ.), ნებისმიერი სახის გამოცდებში ან მათთვის მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად;

8.3.3. გამოიყენოს ლიზინგის საგანი მანქანის ტარების სწავლების მიზნით;

8.3.4. გამოიყენოს ლიზინგის საგანი ტაქსის სახით გამოსაყენებლად;

8.3.5. გამოიყენოს ლიზინგის საგანი ბუქსირების მიზნით ან საბუქსირო მოწყობილობის დასამონტაჟებლად;

8.3.6. გამოიყენოს ლიზინგის საგანი საერთო სარგებლობის გზების ფარგლებს გარეთ;

8.3.7. გამოიყენოს ლიზინგის საგანი ნებისმიერი სხვა წესით, რომლის შედეგადაც ლიზინგის საგნის ცვეთა შესაძლოა მნიშვნელოვნად აღემატოს ნორმალურ ცვეთას. ნორმალურ ცვეთაში იგულისხმება ისეთი ცვეთა, რომელიც წარმოიშობა ლიზინგის საგნის ჩვეულებრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას.

8.3.8. დაუშვას ლიზინგის საგნის ექსპლუატაციისას, სარგებლობისას, ისეთი სახის თუ ხარისხის (დაბალხარისხიანი და დაბალფასიანი დეტალით/ნაწილით) ნივთით ნებისმიერი სახით მომსახურება, რამაც შეიძლება გააუარესოს, არსებითად შეცვალოს ლიზინგის საგნის მდგომარეობა.

8.3.9. ლიზინგის გამცემის წერილობითი ნებართვის გარეშე შეცვალოს ლიზინგის საგნის რაიმე დეტალი/ნივთი თუ ეს ცვლილება გამოიწვევს ლიზინგის საგნის ღირებულების შემცირებას, ასევე მოახდინოს მისი მოდიფიკაცია, გადააკეთოს და/ან აქციოს ის სხვა დანადგარის შემადგენელ ნაწილად.

8.3.10. დაუშვას ლიზინგის საგნის გამოყენება ნებისმიერ მიზნით და ნებისმიერი ხერხით, რომელიც ეწინააღმდეგება ლიზინგის საგნის ქონებრივი დაზღვევის წესებს.

8.3.11. განკარგოს და/ან სარგებლობაში გადასცეს მესამე პირებს ლიზინგის საგანი ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. ლიზინგის გამცემის უფლებები ლიზინგის საგანზე

9.1. ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია იმ შემთხვევაშიც, თუკი ის გახდება სხვა ნივთის ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია აღასრულოს კანონმდებლობით, **ხელშეკრულებითა** და **ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მისი უფლებები იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფლების აღსრულება ზიანს აყენებს ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს ან ამცირებს მის ღირებულებას და ლიზინგის გამცემი პასუხს არ აგებს აღსრულების შედეგად დამდგარ ზიანზე.

9.2. ლიზინგის საგნის მესაკუთრეს წარმოადგენს ლიზინგის გამცემი. ლიზინგის მიმღებს გადაეცემა მხოლოდ ლიზინგის საგნის პირდაპირი მფლობელობის და სარგებლობის უფლება.

9.3. ლიზინგის საგნის ნებისმიერი დეტალის/ნაწილის ცვლილება, რაც იწვევს ლიზინგის საგნის გაუმჯობესებას, მიუხედავად იმისა შეთანხმებულია თუ არა ლიზინგის გამცემთან, ავტომატურად ჩაითვლება საგნის განუყოფელ ნაწილად და ლიზინგის გამცემის საკუთრებად. თუ ლიზინგის მიმღების საკუთრებაში გადადის ლიზინგის საგანი, ანუ ლიზინგი მთავრდება გამოსყიდვით, საგნის შეცვლილ/გაუმჯობესებულ ნაწილზეც შესაბამისად გადადის საკუთრების უფლება. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგანი არ გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში და ლიზინგი არ მთავრდება გამოსყიდვით, ლიზინგის გამცემს არ წარმოეშობა გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯის ან ლიზინგის საგნის ნამატი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

9.4. ლიზინგის გამცემი უფლებამოისლია ნებისმიერ დროს, ლიზინგის მიმღებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, განახორციელოს ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის პირობების კონტროლი, ასევე ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის პირობების შესაბამისობა ლიზინგის გამცემის მიერ განსაზღვრულ გარემოს დაცვით მოთხოვნებთან, ამ მიზნით მას შეუძლია ჩვეულებრივი სამუშაო საათების განმავლობაში შევიდეს ლიზინგის მიმღების ან სხვა ფართში ლიზინგის საგნის ადგილმდებარეობის მიხედვით, რათა შეამოწმოს მისი მდგომარეობა.

9.5. ლიზინგის გამცემი უფლებამოისლია მოითხოვოს ლიზინგის საგანზე ფირნიშის ან სხვა მარკირების შესამჩნევ ადგილას განთავსება, რომელზეც მითითებული იქნება, რომ ქონების მესაკუთრე ლიზინგის გამცემია.

9.6. დეფოლტის, პოტენციური დეფოლტის და/ან ქროს-დეფოლტის შემთხვევაში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია შეწყვიტოს ავტო ლიზინგის ხელშეკრულება, მოითხოვოს ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში დაბრუნება და დაბრუნებისთანავე განკარგოს ლიზინგის საგანი.

9.7. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღების თანხმობის გარეშე განახორციელოს ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნება. ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნებისთვის/დაბრუნების მიზნებისთვის განხორციელებული მოქმედებებისთვის ლიზინგის გამცემს არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება.

10. ლიზინგის საგნის საკუთრებაში მიღება და ვადამდე გამოსყიდვა

10.1. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვადის ბოლოს, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და სალიზინგო საზღაურების სრულად გადახდის შემთხვევაში ლიზინგის საგანი გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში.

10.2. ლიზინგის მიმღებს შეუძლია განახორციელოს ლიზინგის საგნის ვადამდე გამოსყიდვა ხელშეკრულებით და ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ლიზინგის საგნის ვადამდე გამოსყიდვის სურვილის შესახებ ლიზინგის მიმღებმა წერილობით უნდა შეატყობინოს ლიზინგის გამცემს, გამოსყიდვამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

10.3. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების დასრულების ან ლიზინგის საგნის ვადამდე გამოსყიდვის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებულია 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში მოახდინოს ლიზინგის საგნის საკუთარი ხარჯით რეგისტრაცია (გადაფორმება) სსიპ მომსახურების

სააგენტოში (თუ ლიზინგის საგანი წარმოადგენს რეგისტრაციას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებას). აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს ლიზინგის საგნის რეგისტრაციიდან მოხსნა სსიპ მომსახურების სააგენტოში. ამასთან ნებისმიერი ხარჯი ადმინისტარციული ჯარიმებთან დაკავშირებული, რეგისტრაციიდან მოხსნის და შემდგომ აღდგენის ხარჯები დაეკისრება ლიზინგის მიმღებს;

11. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვადები

11.1. თითოეულ ავტო ლიზინგის ხელშეკრულებასთან მიმართებით ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება შესაბამისი ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით და ის აითვლება ლიზინგის შემადგენელი ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან/ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემიდან.

12. ლიზინგის მიმღების განცხადებები და გარანტიები

12.1. ლიზინგის მიმღები აცხადებს, გარანტიას იძლევა და გამოუთხოვადად ეთანხმება რომ:

12.1.1. მისთვის ცნობილია მიმწოდებლის ვინაობა, ნასყიდობის ან სხვა შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები.

12.1.2. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემი აამოქმედებს საკუთარი ინიციატივით 5.11. პუნქტით გათვალისწინებულ მექანიზმს დეფოლტის გამო, ლიზინგის მიმღებია პასუხისმეგებლი აღნიშნულისგან წარმოშობილ ნებისმიერი და ყველა ტიპის ზიანზე ლიზინგის გამცემის წინაშე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლიზინგის მიმღები წარმოადგენს სალიზინგო ურთიერთობის ინიციატორს და მიმწოდებლის შემრჩევ პირს;

12.1.3. აქვს ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;

12.1.4. არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას და/ან აქტივებს და მისთვის ცნობილი არ არის რაიმე სახის პრეტენზიის ან მოთხოვნის თაობაზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი სამართლებრივი დავა და საფრთხე შეუქმნას მის ქონებასა და/ან აქტივებს.

12.1.5. ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

12.1.6. მისთვის ცნობილია, რომ ლიზინგის გაცემისთვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად.

12.1.7. დაუყონებლივ აცნობებს ლიზინგის გამცემს დეფოლტის, პოტენციური დეფოლტისა და ქროს-დეფოლტის შესახებ;

12.1.8. დაუყოვნებლივ აცნობებს ლიზინგის გამცემს თუ იცვლება ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის ლიზინგის მიმღების, მისი თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის საკონტაქტო ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის მიმღების მონაცემებზე გაგზავნილი ინფორმაცია (გზავნილი) ჩაითვლება ლიზინგის მიმღების მიერ მიღებულად.

12.1.9. ლიზინგის მიმღები ან/და მასთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც ლიზინგის გამცემის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

12.1.9.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთვის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას);

12.1.9.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

12.1.9.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

12.1.9.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები

12.1.9.5. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების 12.1.9. პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და ლიზინგის მიმღების მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნიშნულის გამო ლიზინგის გამცემის შეფასებით იარსებებს ლიზინგის მიმღებზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, ლიზინგის გამცემს უფლება ექნება იმოქმედოს დეფოლტისთვის ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

12.2. იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია, იგი დამატებით აცხადებს გარანტიას იძლევა და გამოუთხოვადად ეთანხმება რომ:

12.2.1. წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებულ და რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას ეწევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ლიზინგის

გამცემისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. ლიზინგის მიმღებს არ გამოუტოვებია რაიმე სახის ინფორმაცია, რომლის ცოდნაც, გონივრულობის ფარგლებში, არსებითი იქნებოდა ლიზინგის გამცემის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დადების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღებმა დამალა არსებითი სახის ინფორმაცია, აღნიშნული ჩაითვლება და გაუთანაბრდება ლიზინგის გამცემის განზრახ მოტყუებას.

12.2.2. სრულად და ჯეროვნად ასრულებს საგადასახადო ანგარიშგების და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ისევე როგორც ნებისმიერი მოსაკრებლის, გადასახდელის და ბაჟის გადახდის ვალდებულებას.

12.2.3. ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს ლიზინგის მიმღების სადამფუძნებლო დოკუმენტების და ან ნებისმიერი გარიგების, სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული აქტის ან მისთვის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტის პირობის დარღვევას, რომლის მხარესაც წარმოადგენს ლიზინგის მიმღები.

12.2.4. წარუდგინა ლიზინგის გამცემს ინფორმაცია ხელშეკრულების დადების დღისათვის არსებული ყველა ვალდებულების შესახებ, მათ შორის დამფუძნებლების პირადი ვალდებულებების შესახებ.

12.2.5. მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში ლიზინგის საგანი არ შევა მოვალის სამეურვეო მასაში. გადახდისუუნარობის მმართველი/ზედამხედველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს აღნიშნული ქონების მოვალის სარგებლობაში დატოვება მხოლოდ ყველა შემდეგი წინაპირობის კუმულაციურად დაკმაყოფილების შემთხვევაში: (ა) აღნიშნული ქონება აუცილებელი უნდა იყოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების მიზნების შესრულებისათვის; (ბ) ჩვეულებრივ რეჟიმში, დაყოვნების გარეშე უნდა გაგრძელდეს ლიზინგის მიმღების მიმდინარე ვალდებულებების შესრულება ლიზინგის გამცემის მიმართ; და (გ) ლიზინგის გამცემის საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ქონებით. იმ შემთხვევაში, თუ არ კმაყოფილდება რომელიმე ჩამოთვლილი წინაპირობა, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს ლიზინგის საგნის ამორიცხვა სამეურვეო მასიდან.

13. კონტროლი

13.1. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია აკონტროლოს ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობა და ამ მიზნით მისგან მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი. აგრეთვე აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე 3-12 თვიანი პერიოდულობით ან ლიზინგის გამცემის შეხედულებით დადგენილი პერიოდულობით აკონტროლოს ლიზინგის საგანი და მისი ექსპლუატაციის პირობები, რაც გულისხმობს ლიზინგის საგნის ვიზუალურ და ტექნიკურ-ფუნქციონალურ დათვალიერებას და დიაგნოსტიკას, მათ შორის შესაბამისობა გარემოს დაცვით მოთხოვნებთან; სტანდარტულ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს ლიზინგის მიმღები;

13.2. ლიზინგის მიმღები ვალდებულია შექმნას ლიზინგის საგნის გამოყენების კონტროლისა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები. ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის და მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შეღწევის, სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერებისა და შემოწმების ჩათვლით. შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ლიზინგის გამცემის მიერ მიმღების წინასწარი შეტყობინების გარეშე.

13.3. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ლიზინგის გამცემისათვის საჭირო ინფორმაცია და საბუთები.

13.4. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემის მოთხოვნის საფუძველზე, ლიზინგის გამცემის მიერ დადგენილ ვადებში და მის მიერ დადგენილი ფორმით წარუდგინოს ლიზინგის გამცემს ყოველი ანგარიში, დებულება და დოკუმენტაცია ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების, აგრეთვე ლიზინგის საგნის შესახებ.

14. დაზღვევა

14.1. ლიზინგის საგნის დამზღვევია ლიზინგის გამცემი.

14.2. ლიზინგის მიმღები აცხადებს წინასწარ თანხმობას ლიზინგის გამცემის სრულ უფლებამოსილებაზე იმოქმედოს ლიზინგის მიმღების სახელით და გამოვიდეს სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობებში, განახორციელოს ლიზინგის საგნის დაზღვევასთან, დაზღვეული რისკების და სადაზღვევო კომპანიის შერჩევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება ან შეწყვიტოს მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ხელშეკრულება. ლიზინგის საგნის დაზღვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო პრემია ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯი, როგორც არაფინანსური ხარჯი წარმოადგენს ლიზინგის მიმღების მიერ ასანაზღაურებელ ხარჯს.

14.3. ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს ლიზინგის გამცემისგან დაზღვევის პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

14.4. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ხელმოწერით ლიზინგის მიმღები ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ლიზინგის გამცემის მიერ შერჩეული ლიზინგის საგნის დაზღვევის პირობები და ეთანხმება მათ.

14.5. ლიზინგის გამცემის თანხმობის შემთხვევაში ლიზინგის საგნის დამზღვევი მხარე შესაძლებელია იყოს ლიზინგის მიმღები.

14.6. ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განისაზღვრება ლიზინგის საგნის დამზღვევი მხარე.

14.7. თუ ავტო ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით ლიზინგის საგნის დამზღვევად განსაზღვრულია ლიზინგის მიმღები, იგი ვალდებულია:

14.7.1. ლიზინგის საგნის მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს დაზღვევა და წარადგინოს ლიზინგის გამცემთან სადაზღვევო პოლისი.

14.7.2. თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს ლიზინგის გამცემს განახლებული სადაზღვევო პოლისი.

14.7.3. თუ ლიზინგის მიმღები არ განაახლებს სადაზღვევო პოლისს, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია თვითონ დააზღვიოს ლიზინგის საგანი და შეატყობინოს ლიზინგის მიმღებს აღნიშნულის თაობაზე.

14.8. სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიზინგის გამცემის მიერ მისი შეხედულებით ლიზინგის საგნის აღსადგენად ან ლიზინგის მიმღების რომელიმე შეუსრულებელი ვალდებულების დასაფარად.

14.9. დაზღვევის ბენეფიციარს წარმოადგენს ლიზინგის გამცემი.

14.10. ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების პირობები.

14.11. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ლიზინგის გამცემს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურებით სალიზინგო საზღაურის შემცირება ან ლიზინგის საგნის აღდგენა.

14.12. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ლიზინგის გამცემს და სადაზღვევო კომპანიას. აგრეთვე განახორციელოს ყველა ის ქმედება რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვევის ასანაზღაურებლად.

14.13. თუ სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას რაიმე მიზეზის გამო აყოვნებს საზღაურის გადახდას, ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების დამზღვევი ვალდებულია გააგრძელოს სალიზინგო საზღაურის გადახდა დადგენილი გრაფიკით.

14.14. თუ სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას რაიმე მიზეზის გამო არ აანაზღაურებს დაზღვევის თანხას, ლიზინგის მიმღები ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღადგინოს ლიზინგის საგანი და გააგრძელოს სალიზინგო საზღაურის გადახდა.

14.15. თუ ლიზინგის საგანი არ ექვემდებარება აღდგენას, ხოლო სადაზღვევო კომპანია რაიმე მიზეზით არ ანაზღაურებს დაზღვევის თანხას ან ეს თანხა არასაკმარისია ლიზინგის დარჩენილი საზღაურის გადასახდელად, ლიზინგის მიმღები ვალდებულია დაფაროს დარჩენილი დავალიანება სრულად, პირგასამტეხლოს ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება აღემატება ლიზინგის მიმღების დავალიანებას, სხვაობა წარმოადგენს ლიზინგის მიმღების საკუთრებას.

14.16. თუ რაიმე მიზეზის გამო ლიზინგის საგანი არ არის დაზღვეული, მისი დაზიანების ან განადგურების რისკი ეკისრება ლიზინგის მიმღებს მთლიანად.

15. უფლების დათმობა და ქვე-ლიზინგი

15.1. ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე:

15.1.1. ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება ხელშეკრულებიდან და ავტო ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღების უფლებები გადასცეს მესამე პირებს;

15.1.2. ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება დააგირაოს და/ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთაოს ლიზინგის საგანი ან ხელშეკრულებიდან და/ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მის რაიმე უფლება ლიზინგის საგნის და/ან ლიზინგის გამცემის მიმართ;

15.1.3. ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება დადოს ლიზინგის საგანზე ქველიზინგის ან იჯარის ხელშეკრულება.

15.2. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ლიზინგის მიმღების თანხმობის გარეშე:

15.2.1. ხელშეკრულებისა და/ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის უფლება ლიზინგის მიმღების მიმართ გადასცეს მესამე პირებს; ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის გამცემის მოთხოვნათა დათმობისას მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსით დადგენილისაგან განსხვავებულ წესზე. ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს ასეთი დათმობის შესახებ წერილობით.

15.2.2. დააგირავოს და/ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს ლიზინგის საგანი.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემი დააგირავებს ან სხვაგვარად დატვირთავს წინამდებარე ხელშეკრულების და/ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას, იგი იმავდროულად უფლებამოსილია შესაბამის მოგირავნეს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია ლიზინგის მიმღების ხელშეკრულებით ან ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის თაობაზე, რაც საჭირო ან აუცილებელი იქნება მოგირავნის ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დეფოლტის, ქროს-დეფოლტის და პოტენციური დეფოლტის დადგომის შემთხვევაში.

16.2. **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.3. დეფოლტის, პოტენციური დეფოლტის და/ან ქროს-დეფოლტის შემთხვევაში (იქნება ეს ლიზინგის მიმღების მოქმედების შედეგად თუ კანონის ძალით), ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია შეტყობინების მიწოდების გზით მოითხოვოს ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების, ავტო ლიზინგის ხელშეკრულების ან/და ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის გაფორმებული ნებისმიერი ლიზინგის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნება გამცემის მიერ დადგენილი წესით და საბოლოო დავალიანების თანხის გადახდა, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

16.3.1. ლიზინგის ნარჩენი საბალანსო დავალიანება;

16.3.2. ლიზინგის საგნის დასაკუთრებასთან/დავალიანების დაკისრებასთან დაკავშირებული ხარჯი;

16.4. ლიზინგის მიმღები აცნობიერებს, რომ თითოეული ლიზინგის ან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ლიზინგის გამცემისათვის დაკავშირებულია ფინანსური რესურსის მოძიებასა და დარეზერვებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯთან, მიუხედავად იმისა მოხდება თუ არა ლიზინგის გამცემის მიერ შესაბამისი ნასყიდობის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდა. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადება უცხოურ ვალუტაში, ფინანსური რისკების შემცირების მიზნით, ლიზინგის გამცემს ასევე ეკისრება სავალუტო რისკების ჰეჯირებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, ლიზინგის მიმღები აცნობიერებს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) ხელშეკრულების 16.3. პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო დავალიანების თანხას დაუმატოს ჩამოთვლილი ფინანსური ხარჯის გაწევის შედეგად დამდგარი ზიანის კომპონენტი, ხოლო ლიზინგის მიმღები ადასტურებს, რომ მისთვის განჭვრეტადი და წინასწარ სავარაუდოა აღნიშნული ზიანი.

16.5. ხელშეკრულების 16.3. პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო დავალიანების თანხის ოდენობა ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს ლიზინგის საგნის დასაკუთრებიდან გონივრულ ვადაში, რომელიც განისაზღვრება დასაკუთრებული ლიზინგის საგნის სამართლიანი ღირებულების დადგენის ვადიდან გამომდინარე.

16.6. თუ ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, ლიზინგის მიმღები აყოვნებს ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნებას, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაყოვნების მთლიან პერიოდზე. აღნიშნული არ გამორიცხავს ლიზინგის გამცემის უფლებას გამოიყენოს ამ მუხლით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება,

16.7. ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ლიზინგის გამცემი ვალდებულია წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს ლიზინგის მიმღებს და შესრულებისთვის განუსაზღვროს დამატებითი ვადა. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის გამო შეუძლია ლიზინგის გამცემს ავტო ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტა და ვადა, რომელსაც ლიზინგის გამცემი აძლევს ლიზინგის მიმღებს ვალდებულების შესასრულებლად. თუ ვალდებულება შესრულდება მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში, ავტო ლიზინგის ხელშეკრულება არ შეწყდება.

16.8. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში არ განუსაზღვროს მიმღებს ვალდებულების შესრულებისათვის რაიმე ვადა, თუ აშკარაა, რომ:

16.8.1. ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია;

16.8.2. ლიზინგის საგანს მნიშვნელოვანი დაზიანების საფრთხე ემუქრება;

16.8.3. ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე;

16.9. ლიზინგის მიმღები ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 16.7. პუნქტში აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ და მასში მითითებულ ვადაში შეასრულოს შეტყობინებაში მოთხოვნილი პირობა. ვადის ამოწურვის შემდეგ, დავალიანების მთლიანი მოცულობა ჩაითვლება ვადაგადაცილებულად და დაერიცხება ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის გამცემის მიმართ ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.10. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ჩაითვლება, რომ იმ შემთხვევაში, თუ წყდება ნასყიდობის ხელშეკრულება, შეწყვეტილად ჩაითვლება ავტო ლიზინგის ხელშეკრულება და პირიქით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად გამოიწვევს მასთან დაკავშირებით ან მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების თუ შეთანხმების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა ეს კონკრეტულად მითითებულია თუ არა შეწყვეტის თაობაზე შეტყობინებაში. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პუნქტის საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტაზე გავრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული ზოგადი სამართლებრივი შედეგები.

17. ინფორმაცია ლიზინგის მიმღების შესახებ და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები

18.1. ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაიცვას ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემები, ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ლიზინგის მიმღებთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18.2. ლიზინგის გამცემი პასუხს არ აგებს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

18.3. ლიზინგის მიმღები აცხადებს თანხმობას, რომ ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლიზინგის მიმღებისთვის მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად:

18.3.1. დაამუშაოს (მათ შორის გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ლიზინგის საგნის დაზღვევის საკითხთან დაკავშირებით.

18.3.2. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან საჭირო მოცულობით, მიიღოს, დაამუშაოს და შეინახოს ლიზინგის გამცემისთვის აუცილებელი, ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემები (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);

18.3.3. ლიზინგის მიმღებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემები), გადასცეს ლიზინგის გამცემის მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ლიზინგის გამცემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

18.3.4. სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნებისთვის) გადასცეს ლიზინგის მიმღების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის ლიზინგის მიმღების ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და ლიზინგის მიმღებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

18.3.5. ლიზინგის მიმღების თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია ლიზინგის მიმღების ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია ლიზინგის გამცემის მიმართ ლიზინგის მიმღების ვალდებულებ(ებ)ის შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი;

18.3.6. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, ლიზინგის გამცემთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიას გადასცეს ლიზინგის მიმღების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და ლიზინგის მიმღებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ლიზინგის გამცემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

18.3.7. ლიზინგის გამცემის აუდიტორებს, იურისტებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს/ორგანიზაციებს/კომპანიებს/კორპორაციებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს (შემდგომში ერთობლივად ხსენებული, როგორც კონტრაქტორი პირი), საჭიროების შესაბამისად / კონტრაქტორ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის/პირობ(ებ)ის ფარგლებში და/ან კონტრაქტორი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მათ შორის კონტრაქტორი პირის მიერ ლიზინგის გამცემის და/ან ლიზინგის გამცემის კლიენტების (ლიზინგის მიმღებების) აუდიტის/შეფასების/შემოწმების/ანალიზის მიზნით, გადასცეს ლიზინგის მიმღების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი და ლიზინგის მიმღებთან გაფორმებული ნებისმიერი გარიგება, მათ შორის გადასცეს ლიზინგის მიმღებთან, როგორც ლიზინგის მიმღებთან, თავდებთან, დამგირავებელთან, იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი და/ან მასთან/მათთან გაფორმებული ნებისმიერი გარიგება (მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ ლიზინგის მიმღები და დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე სხვადასხვა პირია). კონტრაქტორი პირი განახორციელებს აღნიშნული

მონაცემების/ინფორმაციის/გარიგების დამუშავებას ლიზინგის გამცემთან გაფორმებული ხელშეკრულების მიზნებისთვის. კონტრაქტორი პირი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ლიზინგის გამცემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

18.3.8. გამოიყენოს ნებისმიერი ინფორმაცია, რასაც იგი ფლობს ლიზინგის მიმღების ან მის მიერ ხელშეკრულებით ან ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე თუ ლიზინგის მიმღები ან მასთან ასოცირებული ნებისმიერი პირი საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას ავრცელებს ლიზინგის გამცემის შესახებ და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენება ან გასაჯაროება საჭიროა ლიზინგის გამცემის ლეგიტიმური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

18.3.9. კომუნიკაციის გამარტივების, ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით, ლიზინგის მიმღების დამატებითი თანხმობის გარეშე, ლიზინგის მიმღების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (როგორც პერსონალური მონაცემები, მათ შორის ფინანსური ვალდებულების შემცველი (კონფიდენციალური) ინფორმაცია), შეუზღუდავად, ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) გადასცეს შპს საქართველოს ფოსტას ან/და სხვა საკურიერო/საფოსტო მომსახურების გამწევ კომპანიას/კომპანიებს, რომელიც/რომლებიც თავის მხრივ კისრულობს/კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვას/დაიცვან ლიზინგის გამცემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უზრუნველყოს/უზრუნველყონ სს თიბისი ლიზინგის გზავნილის მიწოდება ადრესატისთვის.

18.4. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია ლიზინგის მიმღების ნებისმიერი განაცხადი, ასევე ლიზინგის მიმღებთან დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) შენახვის მიზნით გადასცეს სახელმწიფო არქივს ან ამ პროფილის კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული დოკუმენტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაარქივებასა და უსაფრთხო პირობებში შენახვას კონფიდენციალობის წესების სრული დაცვით.

18.5. დისტანციური საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი და სხვ.) ლიზინგის მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების გაწევისთვის (მათ შორის სხვადასხვა სალიზინგო პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის / მათი დადასტურებისთვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემები), მიაწოდოს მესამე პირებს (რომლებიც ზემოხსენებული მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას), მათ შორის საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ს, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

18.6. ლიზინგის მიმღებისთვის ეფექტური და სწრაფი მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი ლიზინგის მიმღების პერსონალური მონაცემები საჭირო მოცულობით გადასცეს შესაბამისი რეპუტაციის მქონე კვლევით კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ლიზინგის გამცემის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

18.7. ლიზინგის მიმღები გამცემს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 18.3. პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის ლიზინგის გამცემის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

18.8. მხარეები თანხმდებიან, რომ სხვადასხვა დისტანციური მომსახურების არხების / ელექტრონული / ციფრული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (www.tbcleasing.ge სატელეფონო სერვისცენტრი, ლიზინგის მიმღების მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით (მოკლე ტექსტური შეტყობინებით) და სხვ.) ლიზინგის მიმღების მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის სსგს-ს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შემოსავლების სამსახურის და სხვა ბაზებში დაცული პირის პერსონალური მონაცემების ლიზინგის გამცემის მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, ლიზინგის მიმღების მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

18.9. ლიზინგის მიმღები ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ლიზინგი გამცემის ვებ-გვერდზე https://tbcleasing.ge/privacy განთავსებული „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს პირის პერსონალურ მონაცემებთან /კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხებს და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

19. ინფორმაციის გაცვლის წესი

19.1. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით. ლიზინგის გამცემს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო, SMS შეტყობინება და სხვა). ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ინფორმაციის (გზავნილის) გაგზავნისთვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით ინფორმაციის (გზავნილის) ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის და ლიზინგის მიმღები არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ ლიზინგის გამცემმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენიმეჯერ ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

19.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ლიზინგის გამცემის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით ლიზინგის მიმღების მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია (ა) ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში/ხელშეკრულებაში და/ან (ბ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ან SMS შეტყობინება, ითვლება ლიზინგის მიმღებისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;

19.3. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს არ უბრუნდება ტექნიკური/პროგრამული საშუალებებით შექმნილი ავტომატური შეტყობინება გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის ვერ გაგზავნისა და მიმღებთან არ მისვლის თაობაზე, ასეთის გენერირების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.

19.4. შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;

19.5. ინფორმაციის (გზავნილის) ჩაბარების მიზნებისთვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც იმყოფება ლიზინგის მიმღების მიერ მითითებულ მისამართზე, მიუხედავად იმისა, ის წარმოადგენს თუ არა უშუალოდ ლიზინგის მიმღების უფლებამოსილ წარმომადგენელს ან თანამშრომელს. ამ პირისთვის ინფორმაციის (გზავნილის) გადაცემა ითვლება ლიზინგის მიმღებისთვის ინფორმაციის (გზავნილის) ჩაბარებად.

19.6. ფოსტის ან კურიერის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდების ფაქტი დასტურდება მიმღების მიერ ინფორმაციის (გზავნილის) მიღების შესახებ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით.

19.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უარს აცხადებს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაციის (გზავნილის) მიღებაზე, კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და ინფორმაცია (გზავნილი) ითვლება მიწოდებულად მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე შედეგით.

19.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და ვერ მოხერხდება ინფორმაციის (გზავნილის) მიწოდება, ინფორმაციის (გზავნილის) გამგზავნი ვალდებულია ხელმეორედ სცადოს ინფორმაციის (გზავნილის) მიმღებისთვის მიწოდება იმავე ან სხვა ალტერნატიულ მისამართზე, რომელიც ქმნის ინფორმაციის (გზავნილის) მიმღებისთვის მიწოდების გონივრულ საფუძველს.

20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, დასკვნითი დებულებები

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

20.2. ლიზინგის მიმღებს არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება.

20.3. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ხელშეკრულების ტექსტში ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ლიზინგის გამცემის ვებ-გვერდზე www.tbcleasing.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.

20.4. ხელშეკრულების 20.3 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში ლიზინგის მიმღებს უფლება ექნება ლიზინგის გამცემის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს სრულად დაფაროს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებ(ებ)ით და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები, რაც ასევე გამოიწვევს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.

20.5. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები არ ისარგებლებს ხელშეკრულების 20.4 პუნქტში აღწერილი უფლებით, ლიზინგის გამცემის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება ლიზინგის მიმღების მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

20.6. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ცვლილება, რომელიც არ აუარესებს ლიზინგის მიმღების მდგომარეობას ძალაში შეიყვანოს ვებ-გვერდზე მისი განთავსებისთანავე.

20.7. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილი ან აღუსრულებადია, მიუხედავად შესაბამისი საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას ან აღუსრულებადობას.

20.8. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

20.9. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #76მ.

20.10. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების ერთჯერადი ან სისტემატური გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამგვარ უფლებაზე უარის თქმას.

21. ელექტრონული ხელმოწერა

21.1. მხარეები თანხმდებიან, რომ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტო ლიზინგის გენერალურ ხელშეკრულებაზე, ლიზინგის ხელშეკრულებაზე და მის საფუძველზე გაფორმებულ ნებისმიერ დოკუმენტზე/ხელშეკრულებაზე და/ან ცვლილებაზე და დამატებაზე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ხელმოწერა.

21.2. ხელშეკრულების, ლიზინგის ხელშეკრულების ან/და ლიზინგის გამცემის მიერ განსაზღვრული სხვა გარიგებების / ხელშეკრულებების / დოკუმენტების დადასტურების / ხელმოწერის მიზნით, ლიზინგის მიმღების მიერ (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ლიზინგის მიმღების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან მინდობილი პირის მიერ) ელექტრონული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) შესრულებულ ხელმოწერას (მათ შორის კვალიფიციურ ან განვითარებულ ელექტრონული ხელმოწერას), საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა.

21.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) შესრულებულ და ელექტრონულად ხელმოწერილ დოკუმენტებს/გარიგებებს/ხელშეკრულებებს აქვთ მატერიალური დოკუმენტისა და ლიზინგის მიმღების მიერ პირადი ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტის/გარიგების/ხელშეკრულების ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა. შესაბამისად დოკუმენტის/გარიგების/ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით შესრულების/ხელმოწერის/გაფორმების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

21.4. ხელშეკრულების, ლიზინგის ხელშეკრულების ან/და ლიზინგის გამცემის მიერ განსაზღვრული სხვა გარიგებების / ხელშეკრულებების / დოკუმენტების ელექტრონულად გაფორმების/ხელმოწერის შემდეგ ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს მოსთხოვოს ლიზინგის გამცემს მის მიერ ელექტრონული ფორმით შესრულებული გარიგებების/ხელშეკრულებების ქაღალდზე დაბეჭდილი დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.

21.5. ლიზინგის მიმღები აცხადებს თანხმობას:

21.5.1. სს თიბისი ლიზინგმა ელექტრონული ხელმოწერის მიზნებისთვის გამოიყენოს სს თიბისი ლიზინგში დაფიქსირებული ლიზინგის მიმღების (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი

პირის) პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.

21.5.2. შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ სს თიბისი ლიზინგთან ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით გარიგების/ხელშეკრულების/დოკუმენტის გაფორმების/ხელმოწერის შემთხვევაში, სს თიბისი ლიზინგმა გამოიყენოს მინდობილი პირის სს თიბისი ლიზინგში დაფიქსირებული პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.

21.5.3. ლიზინგის გამცემმა და შპს ენჯითი როქით სოლუშენსმა (ს/ნ 405432580) (შემდგომში ენჯითი) ლიზინგის მიმღების ინფორმაცია/მონაცემები (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ლიზინგის მიმღების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) პერსონალური მონაცემები დაამუშავოს ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify -ის მეშვეობით მომსახურების გაწევის კვალიფიციური / განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების მიზნ(ებ)ისთვის. ლიზინგის გამცემი, მათ შორის უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნ(ებ)ისთვის ლიზინგის მიმღების ინფორმაცია/მონაცემები (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ლიზინგის მიმღების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) პერსონალური მონაცემები გადასცეს ენჯითის. წინამდებარე თანხმობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს იქნას გამოთხოვილი, ელ ფოსტის და/ან ლიზინგის გამცემის ოფისში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობის გამოხმობის მოთხოვნის დაფიქსირებით. თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, შეწყდება ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება, მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify-ის მეშვეობით მომსახურების გაწევა.

21.5.4. ლიზინგის მიმღები (მარწმუნებელი) აცნობიერებს, რომ შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) სახელით ლიზინგის გამცემთან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, გაფორმებული/ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ლიზინგის მიმღებისთვის (მარწმუნებლისთვის), მათ შორის მინდობილი პირის მიერ ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ლიზინგის მიმღებისთვის (მარწმუნებლისთვის).

21.5.5. ლიზინგის გამცემი პასუხს არ აგებს ლიზინგის მიმღების (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ლიზინგის მიმღების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) სახელით სს თიბისი ლიზინგში შეცვლილი ან/და ლიზინგის გამცემისთვის მიწოდებული ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის, მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით ლიზინგის გამცემის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

21.5.6. ლიზინგის გამცემი პასუხს არ აგებს ლიზინგის მიმღების (თუ ლიზინგის მიმღები იურიდიული პირია ლიზინგის მიმღების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) სახელით სს თიბისი ლიზინგში შეცვლილი ან/და სს თიბისი ლიზინგისთვის მიწოდებული ლიზინგის მიმღების (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების სხვა პირის მიერ გამოყენებაზე, მათ შორის ლიზინგის მიმღების მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით სხვა პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ან ლიზინგის მიმღების ელექტრონული ფოსტიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სს თიბისი ლიზინგის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.